ხელშეკრულება N2

დერატიზაციასთან დაკავშირებული მომსახურებების (90923000) გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.რუსთავი 06 იანვარი 2020წელი

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მუხლი 3, პუნქტი 1, „ს1“ ქვეპუნქტის, ასევე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ მუხლი 2, „ა“ ქვეპუნქტის და მუხლი 10 თანახმად,, ერთი მხრივ, **შ.პ.ს. „რუსთავის სადეზინფექციო სამსახური”** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი **სამსახურის დირექტორის ნუგზარ ჩაჩავას** სახით და მეორე მხრივ, სსიპ ქალაქ რუსთავის N23 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი”) - წარმოდგენილი **სკოლის დირექტორის მ.შ. მზია კიწმარიშვილის** სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე და ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ქვემოთ მითითებული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად:
დერატიზაციასთან დაკავშირებული მომსახურებები - CPV კოდი 90923000

1.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სადერატიზაციო მომსახურება ერთი წლის განმავლობაში, **2019 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე**.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება **489,80** (ოთხას ოთხმოცდაცხრა ლარი 80 თეთრი) ლარის ოდენობით.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებელის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს, სახდელს.

2.3 გაანგარიშებისას გამოიყენება დასამუშავებელი ობიექტის ფიზიკური და ოპერატიული ფართის ოდენობა და სამუშაოს ჩატარების ჯერადობა, ქვემოთ მოცემული მონაცემების მიხედვით:

სამუშაოს დასახელება	ფიზიკური ფართი	განზ.	ჯერადობა	ოპერატიული ფართი	საზომ ერთეულზე დამუშავების ღირებულება	სულ ოპერატიული მოცულობის ღირებულება
დერატიზაცია დეზინფექცია	347	კვ.მ	10	3478	0,023	80
პროფილაქტიკური დეზინფექციოა	60	კვ.მ.	10	600	0,70	420

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ყოველთვიურად, შესაბამისი სადერატიზაციო სადეზინფექციო განრიგის/დამუშავების ცნობის და მიღება-ჩაბარების აქტის შემსყიდველისთვის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3.2 უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.3 თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

3.4 მომსახურების გაწევა ხორციელდება მხოლოდ სახელმწიფო ხაზინაში რეგისტრირებული ვალდებულების ფარგლებში.

4. ხარისხი და გარანტია

4.1 მიწოდებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უხარისხოდ შესრულებისას აღმოჩენილ ხარვეზზე წარმოუდგინოს დასაბუთებული რეკლამაცია მიმწოდებელს და არ მიიღოს იგი. მიმწოდებელი ვალდებულია აღმოჩენილი ხარვეზი გამოასწოროს დაუყოვნებლივ.

4.3 იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური მიზეზების გამო ვერ იქნა უზრუნველყოფილი სათანადო სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა, რაც უარყოფითად იმოქმედებს პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ეფექტურობაზე, არ შეიძლება ჩაითვალოს „მიმწოდებლის“ უხარისხო მუშაობად.

4.4 წინამდებარე ხელშეკრულებით საგარანტიო პირობები არ განისაზღვრება.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) ჩაატაროს დერატიზაციასთან დაკავშირებული მომსახურება მოქმედი ნორმატიული აქტების, მეთოდიკების და ინსტრუქციების შესაბამისად;

ბ) დაიცვას და უზრუნველყოს სათანადო ხარისხი და ეფექტურობა.

5.2 **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

ა) სიტემატიურად შეისწავლოს ობიექტის მდგომარეობა და მისცეს შემსყიდველს საჭირო მითითებები და წინადადებები სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სამუშაოთა ეფექტურობის ამაღლების მიზნით;

ბ) შემსყიდველის მხიდან სარეკომენდაციო წინადადებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი იხსნის პასუხისმგებლობას ღონისძიებათა ეფექტურობაზე.

5.3 **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) გადაუხადოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტით განსაზღვრული თანხა, ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლში დათქმულ მოთხოვნათა შესაბამისად.

ბ) შეასრულოს შემსრულებლის მიერ მიცემული მითითებები და სარეკომენდაციო წინადადებები დროულად და ეფექტურად.

გ) უზრუნველყოს უსაფრთოების ღონისძიებები მომწამვლელ ნივთიერებათა მიმართ.

დ) საკუთარი ხარჯებით ჩაატაროს სარემონტო სამუშაოები სანტექნიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ე) უზრუნველყოს შემსრულებელი სადერატიზაციო სამუშაოების ჯეროვნად შესასრულებლად საჭირო დამხმარე საშუალებებით (სათლი, კიბე, ცხელი წყალი და სხვა).

5.4 **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

ა) ნებისმიერ დროს გააკონტროლოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შესრულება და ხარისხი.

ბ) თუ მომსახურების გადაცემისთანავე აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) შედეგი, წარუდგინოს მიმწოდებელს დასაბუთებული რეკლამაცია, რის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 3 დღის განმავლობაში ან უზრუნველყოს სამუშაოთა ჯეროვანი შესრულება ან ამავე ვადებში დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

ბ) უზრუნველყოს შემსრულებლის კუთვნილი ინვენტარის შენახვა.

6.1 **მხარეთა ერთობლივ ვალდებულებას მიკუთვნებული საკითხები:**

ხელშეკრულების შესრულება დაადასტურონ მიღება-ჩაბარების/შედარების აქტის გაფორმებით, რომლის ხელმოწერას შ.პ.ს. „რუსთავის სადეზინფექციო სამსახური”-ს მხრიდან განახორციელებს სამსახურის დირექტორი ან ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი, ხოლო ქალაქ რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან - რესურსცენტრის უფროსი თამარ ხეჩიკაშვილი.

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარის (მხარეთა) მიერწინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევა არ გამოიწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას თუხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულების დარღვევა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

6.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ბიუჯეტის სეკვესტრით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

6.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

6.4 თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2 თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების ინიციატორი მხარე ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წერილობითი ფორმით.

7.3 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ორმხრივი შეთანხმების გზით, რომელიც ფორმდება წერილობითი შეთანხმების სახით.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამოც ფერხდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ შეფერხების მიზეზების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1 მხარეებს შეუძლიათ ვადამდე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ აღმოჩნდა, რომ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდას;

ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არშესრულების ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;

გ) წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი ვალდებულია მიაწოდოს მეორე მხარეს დასაბუთებული პროკლამაცია წერილობითი ფორმით, ხელშეკრულების შეწყვეტამდე 5 სამუშაო დღით ადრე;

დ) ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და ინსპექტირება

10.1 ფორს-მაჟორული გარემოების გარდა, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს)

პირგასამტეხლო განისაზღვრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით;

10.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს შემსყიდველს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების ინსპექტირებას შ.პ.ს. „რუსთავის სადეზინფექციო სამსახურის“ მხრიდან განახორციელებს - სამსახურის დირექტორი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო ქალაქ რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან შესაბამისი უფლებამოსილი პირი - უფროსი სპეციალისტი (ფინანსისტი).

11. დავის გადაწყვეტა

11.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

11.2 ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. ინტერესთა კონფლიქტი

12.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირები, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ “საქართველოს კანონისმე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერებით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრამდე.

14. დასკვნითი დებულებები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად წინამდებარე ხელშეკრულება გააფორმეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, მეორე კი მიმწოდებელს.

შემსყიდველი: სსიპ - ქალაქ რუსთავის №23 საჯარო სკოლა ს/კ 216317279 მის. : ქ. რუსთავი,მე-12 მ/რაიონი 49-ა ტელ(0341) 28-55-22 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE85LB0121114204742000 **Rustavi23@mes.gov.ge** **დირექტორის მ.შ.** **მზია კიწმარიშვილი** _____ (ხელმოწერა) ბ.ა	**მიმწოდებელი:** შპს“რუსთავის სადეზინფექციო სამსახური“ ს/კ 216289451 მის.:ქ.რუსთავი ვახუშტის ქ N8 ტელ.:(0341) 22-16-06 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE59BG0000000273512200 **48dezi@gmail.com - fosta dezinfeqciis** **დირექტორი;** **ნუგზარ ჩაჩავა** _____ (ხელმოწერა) ბ.ა

.

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

ქალაქი რუსთავი 6 იანვარი 2020 წ.

ჩვენ, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ სპორტული საქონლის შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად, შპს „ რუსთავია სადეზინფექციო სამსახურის“ მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ ქალაქ რუსთავის N23
საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ /მზია კიწმარიშვილი/

მიმწოდებლის შერჩევში მონაწილე პირი: /ეთერი გამსახურდაშვილი /